

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი



მოწამეთას მონასტერთან კულტურული მემკვიდრეობის ზონების კეთილმოწყობა

ქვე-პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების სკრინინგი და გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა

რეგიონალური განვითარების მეორე პროექტი
დაფინანსებული მსოფლიო ბანკის მიერ

იანვარი, 2018

ქვე-პროექტის აღწერა

ქვე-პროექტი ითვალისწინებს მოწამეთას სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციას, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს შემდეგი სამუშაოების ჩატარებას:

1. არსებული პარკინგის რეაბილიტაცია;
2. ახალი ავტოსადგომის ზონის მოწყობა არსებულიდან 120 მეტრში;
3. საკომუნიკაციო სისტემის (ელექტრო მომარაგება, წყალ-კანალიზაცია) რეაბილიტაცია;
4. არსებული ვიზიტორთა ცენტრის შენობის რეაბილიტაცია;
5. არსებულ საპირფარეშოს რეაბილიტაცია;
6. გალავნის კედლების გამაგრებითი საკონსერვაციო სამუშაოები;
7. მცირე არქიტექტურული ფორმები კომპლექსის ტერიტორიაზე;
8. რკინიგზის გადასასვლელის რეაბილიტაცია;
9. დამატებითი ბილიკების მოწყობა კომპლექსის ტერიტორიაზე;
10. მდინარე წყალწითელას ნაპირზე ჩასასვლელი ბილიკი.

1. არსებული პარკინგის რეაბილიტაცია

არსებული პარკინგის რეაბილიტაციისას, არ შეიცვლება გაბარიტული ზომები, ვინაიდან აღნიშნული შესაბამისობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან (5მ x 3,5 მ). პარკინგი გათვლილი იქნება 12 ავტომობილზე. პროექტით განისაზღვრა სადრენაჟე არხის გადაწევა რამდენიმე მეტრით, პრევენციული მიზნით, რათა არ მოხდეს მისი მარტივად დაზიანება. ხოლო სადრენაჟე ცხაურები მოცილდება სავალ ნაწილს. ზემოხსენებული სამუშაოების განხორციელებისას მოხდება პარკინგის ტერიტორიაზე არსებული ძველი არსებული ასფალტის საფარის მოხსნა და სანაცვლოდ ახლის დაგება. პარკინგის ტერიტორიის მიმდებარედ მოეწყობა ბორდიური და ბეტონის სადრენაჟე არხი.

2. ახალი პარკინგის მოწყობა

ქვე-პროექტი ითვალისწინებს ახალი პარკინგის მოწყობას მოწამეთას კომპლექსის არსებული პარკინგიდან 120 მეტრში (იხ. დანართი 1). მიწის ნაკვეთი (ს/კ 39.07.33.133) რეგისტრირებულია, როგორც ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრება და სარგებლობის უფლება მინიჭებული აქვს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს. ახალ პარკინგზე გათვალისწინებულია 14 ადგილი მსუბუქი ავტომობილისათვის, მიკროავტობუსებისათვის - 8 და ავტობუსებისათვის 5 ადგილი.

გარდა ზემოხსენებულისა, აგრეთვე მოეწყობა რკინა-ბეტონის საყრდენი კედელი და სადრენაჟე სისტემა, რომელიც დაუერთდება არსებულ სადრენაჟე არხს. ტერიტორიაზე დაიგება ასფალტო-ბეტონის ფენა, მოეწყობა ბორდიურები და აგრეთვე მოხდება ტერიტორიის კეთილმოწყობა.

3. საკომუნიკაციო სისტემა

პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს ობიექტისათვის საკომუნიკაციო სისტემის რეაბილიტაციას, შეიცვლება კომპლექსის გაუმართავი ელექტრო სისტემა ასევე არსებული განათების სისტემები. პარკინგის განათების და ტუალეტის მომარაგება მოხდება არსებული სატრანსფორმატორო სადგურიდან სადაც ტუალეტისთვის დაიდგმება დამოუკიდებელი მრიცხველი და პარკინგის განათება მიუერთდება მუნიციპალური განათების ქსელს. ტერიტორიაზე მოეწყობა ძირითადი ტერიტორიის და დეკორაციული განათებები სანათების ტიპებად კი გამოიყენება ენერგო დამზოგავი დიოდური ლედ სანათები.

პროექტის მიხედვით კომპლექსის წყლით მომარაგება ხდება ტელეანძასთან მდებარე 2000 მ³-იანი რეზერვუარიდან სოფ. მოწამეთასთან მოწყობილია განშტოება სამომავლოდ სოფლის წყალმომარაგებისათვის. ვინაიდან ტერიტორიას წყალი მიეწოდება გრაფიკით, პროექტი ითვალისწინებს რეზერვუარების მოწყობას როგორც ზაფხულის, ასევე - ზამთრის სეზონისათვის. ცალკე მდგომი სან-კვანძისა და ზამთრის სეზონისათვის გათვალისწინებულია 5-5 ტონიანი ავზები, ხოლო ზაფხულისათვის 80 ტონიანი რეზერვუარი, რომელიც ზამთარში არ იცლება და გამოიყენება როგორც სახანძრო მარაგი. ზაფხულში რეზერვუარი იცლება, ირეცხება და გამოიყენება როგორც სასმელად, ასევე - სახანძროთაც. დამატებითი უსაფრთხოებისათვის, სასმელი წყლის გაუვნებლობის მიზნით, გათვალისწინებულია ულტრაიისფერი დანადგარის დამონტაჟება.

გარდა ზემოხსენებულისა, საკანალიზაციო წყლები მოგროვდება და ჩაეშვება ეზოში მდებარე გამწმენდ ნაგებობაში. ზაფხულის პერიოდში ორი გამწმენდი მოწყობილობა იმუშავებს (ერთი - წარმადობით 4 მ³/დღ, ხოლო მეორე - 6 მ³/დღ). გაწმენდილი წყალი მილით გაიყვანება ფერდობზე, ხოლო შემდეგ არხის მეშვეობით ჩაეშვება ხევში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება, ვინაიდან არც მიწები და არც არხი არ კვეთს მუნიციპალურ ან/და კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს.

4. არსებული ვიზიტორთა ცენტრის შენობის რეაბილიტაცია

პროექტი ითვალისწინებს მოწამეთას სამონასტრო კომპლექსთან არსებული ვიზიტორთა ცენტრის რეაბილიტაციას და ამავდროულად შშმ პირთათვის ადაპტაციას. ამჟამად შენობა არსებულია, თუმცა ის არ ფუნქციონირებს და, შესაბამისად, არც ხალხია დასაქმებული. გამომდინარე აქედან, სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, სოციალურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. შეიცვლება შენობის სახურავი და შენობის შიგნით არსებული ტიხრები, დამონტაჟდება სადრენაჟო სისტემა საყრდენი კედლების დანესტვისგან დაცვის მიზნით, შეიცვლება დაზიანებული კარ-ფანჯარა ახლით, ფანჯრის ღიობებზე მოეწყობა საცრემლეები, რეაბილიტაცია ჩატარდება არსებულ სანიტარულ კვანძებს და მოხდება მისი ადაპტაცია შშმ პირთათვის, აგრეთვე კედლებსა და ჭერზე სარემონტო სამუშაო ჩატარდება და განახლდება საკომუნიკაციო ქსელი და ფურნიტურა, აგრეთვე მოხდება წყალ-კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაციას მოეწყობა დარბაზში მოწამეთას ისტორიის

ექსპოზიციისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. აგრეთვე რეაბილიტაცია ჩატარდება გიდის და ადმინისტრაციის ოთახებს. შენობაში შესასვლელად მოეწყობა პანდუსები და ელ. ბაქანი შშმ პირთათვის.

5. არსებული საპირფარეშოს შენობის რეაბილიტაცია

ქვე-პროექტი ითვალისწინებს არსებული საპირფარეშოს შენობის რეაბილიტაციას, რაც გულისხმობს სახურავისა და კარ-ფანჯრების შეცვლას, ფასადის რეაბილიტაციას. აგრეთვე მოხდება კედლებზე, ჭერზე, იატაკზე სარემონტო სამუშაოების ჩატარება, საკომუნიკაციო ქსელის და ფურნიტურის (ჩამრთველების, დენცქვიტების, ხელის საშრობების) განახლება. შეიცვლება კომპლექსის გაუმართავი ელექტრო სისტემა ასევე არსებული განათების სისტემები. შენობას წყალი მიეწოდება ახალი 5 ტონიანი რეზერვუარიდან, ხოლო ცხელი წყალი - 80 ლიტრიანი წყლის გამაცხელებლიდან. შენობაში ფეკალური მასები იკრიბება და გაიყვანება შენობის გარეთ საკანალიზაციო ორმოში. კანალიზაციის ქსელზე გათვალისწინებულია რევიზიისა და გამწმენდის მოწყობა. პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს გათბობა-ვენტილაციის სისტემის მონტაჟს.

6. გალავნის კედლების გამაგრებითი საკონსერვაციო სამუშაოები

ბილიკის გასწვრივ და მოსასვენებელი ზონის მიმდებარე საყრდენი კედლების ფრაგმენტები მნიშვნელოვნადაა დაზიანებული და არსებობს მათი მოწყვეტის საფრთხე. წარმოდგენილი პროექტი თვალისწინებს არსებული საყრდენი კედლებისა და დანაპრალებული კლდის იმ ნაწილის გამაგრების სამუშაოებს, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრება მდინარეზე ჩასასვლელ ბილიკს. საყრდენი კედლის ის ნაწილი, რომელიც შესრულებულია ბუნებრივი ქვის წყობით და ძლიერ დაშლილია, ექვემდებარება გადაწყობას იგივე მასალით, კირის ხსნარის საფუძველზე.

7. მცირე არქიტექტურული ფორმები კომპლექსის ტერიტორიაზე

კომპლექსის ტერიტორიაზე განსაზღვრულია თანამედროვე დიზაინის მცირე არქიტექტურული ელემენტები: სკამები, ურნები, საინფორმაციო დაფები და მანიშნებლები, შემზღუდავი ბარიერები, გარე ვაჭრობის დახლები. ასევე პროექტით განსაზღვრულია კომპლექსის ტერიტორიის ადაპტაცია შშმ პირებისათვის - ვიზიტორთა ცენტრის შენობაში შეუფერხებლად მოხვედრისათვის დამონტაჟდება ელ. ბაქანი, ხოლო კომპლექსის ტერიტორიაზე - მსუბუქი კონსტრუქციის პანდუსები. რაც შეეხება პარკინგიდან კომპლექსის მთავარ მოედანზე ჩასასვლელ ბილიკს, მისი დახრილობა ვერ აკმაყოფილებს სტანდარტს, ასევე ბილიკის სიგანიდან გამომდინარე შეუძლებელია რაიმე ელექტრო საშუალებების გამოყენება. ამ პრობლემების გათვალისწინებით კომპლექსის მთავარ მოედანზე დაპროექტდა 2 ადგილიანი ავტოსადგომი, რათა შშმ პირებმა შეძლონ პარკინგიდან კომპლექსისკენ მიმავალი მანძილი გაიარონ ავტომობილით.

8. რკინიგზის გადასასვლელის რეაბილიტაცია

პარკინგიდან მიმავალ ვიზიტორებს, ასევე - ავტომობილით მისულ სტუმრებს უწევთ რკინიგზის გადასასვლელის გადაკვეთა, რომელიც, დღეის მდგომარეობით, მოუწესრიგებელია და ქმნის დისკომფორტს. პროექტის კონცეფციით განსაზღვრულია ამ კვანძის მოწესრიგება მიწის დონის ოპტიმალურ ნიშნულამდე მიყვანა და გადასასვლელზე სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი პანელების საფარის მოწყობა მზა ფილებით. აგრეთვე განთავსდება გამაფრთხილებელი ნიშნები და ბარიერები.

9. დამატებითი ბილიკების მოწყობა კომპლექსის ტერიტორიაზე

კომპლექსის ტერიტორიაზე ახალი ელემენტების გაჩენის შემდეგ საჭირო გახდა დამატებითი საფეხმავლო ბილიკების გაჩენა, ახალი ბილიკები თანხვედრაში იქნება არსებულთან და მოეწყობა იგივე პრინციპით. გამოყენებული იქნება ქვიშა-ცემენტი და ბუნებრივი ქვები.

10. მდინარე წყალწითელას ნაპირზე ჩასასვლელი ბილიკი

მდინარე წყალწითელასკენ მიმავალი ბილიკი ამჟამად საკმაოდ რელიეფური და სახიფათოა, შესაბამისად, განსაზღვრულია ბილიკის რეაბილიტაცია და აგრეთვე - მოაჯირის მოწყობა. ბილიკის ბუნებრივი რელიეფის რღვევისაგან თავიდან აცილების მიზნით და მინიმალური ჩარევის პრინციპის დაცვით, მარტივი და ეფექტური გზა არის ბილიკის დატერასება და ხის მოაჯირის მოწყობა.

გარემოსდაცვითი სკრინინგი და კლასიფიკაცია

A) ზეგავლენის იდენტიფიცირება

| | |
|--|---|
| <p>აქვს თუ არა ქვე-პროექტს საგრძნობი ზეგავლენა გარემოზე?</p> | <p>ქვე-პროექტს აქვს მცირე უარყოფითი ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე და მოსალოდნელია, რომ მას ექნება გრძელვადიანი დადებითი ზეგავლენა სოციალურ გარემოზე.</p> |
| <p>რაში მდგომარეობს ქვე-პროექტის მნიშვნელოვანი დადებითი და უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე?</p> | <p>მოსალოდნელია, რომ ქვე-პროექტს ექნება დადებითი ხანგრძლივადიანი სოციალური ზემოქმედება მოწამეთას მონასტრის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის გზით. გარემოზე ერთ-ერთი შესაძლო ზემოქმედება უკავშირდება ხეების მოჭრას ახალ პარკინგის მოსაწყობად. თუმცა არსებული სახეობებიდან არც ერთი არ მიეკუთვნება საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ სახეობებს. არც ერთი ხე სიმაღლით არ აღემატება 550 სმ და დიამეტრით - 10.5 სმ-ს. თანდართულია ტყიბულის მერის მიერ დამოწმებული ხეების ინვენტარიზაციის უწყისი და მუნიციპალიტეტის შეთანხმების წერილი N47/7793 აღნიშნული ხეების მოჭრის თაობაზე.</p> <p>მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე სავარაუდოდ იქნება ხანმოკლე და ტიპური საშუალო მასშტაბის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის მოდიფიცირებულ გარემოში: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია, მანქანა-მექანიზმების გამონაბოლქვი, სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა, სამანქანო და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის შეფერხება.</p> <p>ოპერირების ფაზაში ტურისტული ნაკადის ზრდამ შეიძლება, გამოიწვიოს არაპირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე, როგორცაა ნარჩენების წარმოქმნის ზრდა, ვანდალიზმის რისკი და სხვა.</p> <p>ოპერირების ფაზაში ტურისტული ნაკადის ზრდამ შეიძლება, გამოიწვიოს არაპირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე, როგორცაა ნარჩენების წარმოქმნის ზრდა, ვანდალიზმის რისკი და სხვა.</p> |

| | |
|---|---|
| | <p>ოპერირების ფაზაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს წარმოქმნილი ნარჩენებისა და საკანალიზაციო წყლების შესაბამისი მართვა, გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით.</p> |
| <p>შესაძლოა, რომ ქვე-პროექტს ჰქონდეს რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ადგილობრივ თემებზე ან ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?</p> | <p>ქვე-პროექტის განხორციელება არ მოითხოვს მიწის ნაკვეთების გამოსყიდვას.</p> <p>მშენებლობის პერიოდში სამონასტრო კომპლექსის მაცხოვრებლებზე არ იქნება არანაირი ზემოქმედება. ის მიწის ნაკვეთი (ს/კ 39.07.33.133), რომელზეც უნდა მოეწყოს ახალი პარკინგი, რეგისტრირებულია როგორც ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრება და სარგებლობის უფლებით გადაცემულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდზე (იხ. დანართი 1).</p> <p>ხანგრძლივადიანი სოციალური ზეგავლენა იქნება დადებითი (ტურისტული ნაკადის ზრდა, კერძო სექტორის მოზიდვა ტურიზმის სექტორში ინვესტირებისათვის (სასტუმროები, რესტორნები, სავაჭრო და გასართობი ადგილები და სხვა).</p> <p>უარყოფითი ზეგავლენა მოკლევადიანია, შემოფარგლულია ქვე-პროექტის განხორციელების ადგილით და დაკავშირებულია ზემოთ აღნიშნულ შემაწუხებელ ფაქტორებთან.</p> |

(B) შემარბილებელი ღონისძიებები

| | |
|---|---|
| <p>განხილული იქნა თუა რა პროექტირებისას ქვე-პროექტის ალტერნატივები?</p> | <p>განხილვობდა სხვა ალტერნატივა ახალი პარკინგის მოსაწყობად, თუმცა ვინაიდან შერჩეული ტერიტორია მუნიციპალურ საკუთრებაშია და ამავდროულად ფონდს აქვს გადაცემული სარგებლობის უფლებით, აღნიშნულზე შეჩერდა არჩევანი.</p> |
| <p>რა შემარბილებელი ღონისძიებებია განსაზღვრული?</p> | <p>მშენებლობის ფაზაში მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენები შესაძლოა მარტივად შემსუბუქდეს შემდეგი ღონისძიებების გატარებით: სამშენებლო ადგილის შემოსაზღვრა, მოძრაობის მართვა, მანქანა-დანადგარების შესაბამისი მოვლა, სამუშაო საათების დაცვა, სამშენებლო ნარჩენების ორგანიზებულად განთავსება ოფიციალურად შეთანხმებულ ადგილას.</p> |

ხეების მოჭრასთან დაკავშირებით, მშენებელი კონტრაქტორი ვალდებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის“ მე-8 მუხლის თანახმად, მოიპოვოს მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ გაცემული ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობა.

შენობების მოშლის შედეგად წარმოქმნილი მასალა, რომლის ხელმეორედ გამოყენებაც შესაძლებელი იქნება, განთავსდება მონასტრის ეზოში. სამშენებლო ნარჩენები გატანილი იქნება მუნიციპალიტეტის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე ან/და ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მანჭიორში მდებარე ნაგავსაყრელზე.

მიწის სამუშაოების დროს არქეოლოგიური ობიექტის გამოვლენის შემთხვევაში, კონტრაქტორმა დაუყონებლივ უნდა შეწყვიტოს სამუშაოები და მიაწოდოს ინფორმაცია მუნიციპალური განვითარების ფონდს, რომელიც, თავის მხრივ, დაუყონებლივ აწვდის ინფორმაციას კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს. სამუშაოების განახლება შესაძლებელი იქნება მხოლოდ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან წერილობითი თანხმობის მიღების შემდგომ.

სასმელი წყლის გაუვნებლობის მიზნით, გათვალისწინებულია ულტრაიისფერი დანადგარის დამონტაჟება ტელეანძასთან მდებარე 2000 მ³-იანი რეზერვუარ, საიდანაც მოხდება კომპლექსის წყლით მომარაგება.

გარდა ამისა, რეაბილიტირებული საპირფარეშოს კანალიზაციის ქსელზე გათვალისწინებულია რევიზიისა და გამწმენდის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტის ექსპლუატაციისას

| | |
|---|--|
| | <p>წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების სათანადოდ გაწმენდას წყალჩაშვებამდე.</p> |
| <p>წინა მსგავსი ქვე-პროექტების განხორციელებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული პროექტირებისას?</p> | <p>მიღებული გამოცდილების შედეგად, პროექტის დიზაინი ითვალისწინებს არა მხოლოდ შენობის რეაბილიტაციასა და მასში წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობას, არამედ აგრეთვე გამწმენდი ნაგებობის დამონტაჟებასაც. აგრეთვე, შენობების რეაბილიტაციისას მოხდება შესაბამისი პანდუსების დამონტაჟებით შუამ პირებისათვის ადაპტირება.</p> |
| <p>იყვნენ თუ არა ჩართულნი დაინტერესებული თემები? ქვე-პროექტის პროექტირებისას სათანადოდ მოხდა თუ არა მათი ინტერესებისა და ცოდნის გათვალისწინება?</p> | <p>ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მიმოხილვა გამოქვეყნდება მგფ ვებ-გვერდზე, აგრეთვე საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდება ყველა დაინტერესებული პირისათვის, როგორც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ოფისში, აგრეთვე მგფ ოფისში. დოკუმენტის საჯარო განხილვა ადგილობრივი მაცხოვრებლებისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით ჩატარდება სატენდერო პროცედურების დაწყებამდე და საჯარო განხილვის ოქმები დაერთდება გარემოსდაცვით მიმოხილვას.</p> |

(C) კატეგორიზაცია და დასკვნა

სკრინინგის შედეგებზე დაყრდნობით,

ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც გარემოსდაცვითი კატეგორია:

A

B

C

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვე-პროექტი უარყოფილია
2. ქვე-პროექტი მიღებულია

რისკების შეფასები საფუძველზე, ქვე-პროექტი საჭიროებს:

1. გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის შევსებას მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის
2. გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვას, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის შემუშავების ჩათვლით

სოციალური ზემოქმედების სკრინინგი

| ინფორმაცია სოციალური ზემოქმედების სკრინინგისათვის | | კი | არა |
|--|---|-------------|------------|
| 1 | ინფორმაცია ქვე-პროექტების ობიექტების მფლობელობის და კუთვნილების სტატუსის შესახებ არის ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი ვერ დასრულდება ზემოხსენებულის მოპოვებამდე) | ✓ | |
| 2 | გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ხელმისაწვდომობის შეზღუდვას სამეურნეო რესურსებზე, როგორცაა მიწა, სამოვარი, წყალი, კომუნალური მომსახურება, საჯარო სივრცე ან სხვა რესურსებზე, რომლებზეც მოსახლეობა არის დამოკიდებული? | | ✓ |
| 3 | გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული პირების ან ოჯახების განსახლებას ან მოითხოვს თუ არა მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების (მუდმივ ან დროებით საჯარო ან კერძო საკუთრებაში არსებულის) შესყიდვას? | | ✓ |
| 4 | გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და შინამეურნეობის ინფრასტრუქტურის (როგორცაა დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბელელი, გარე საპირფარეშოები, სამზარეულო და ა.შ.) დროებით ან მუდმივ დანაკარგს? | | ✓ |
| <p>თუ ზემოთ დასმულ ნებისმიერ კითხვაზე პასუხი არის „დიახ“ (გარდა პირველი კითხვისა) მაშინ უნდა ამოქმედდეს უსაფრთხოების პოლიტიკა OP/BP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლება, ხოლო შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს OP/BP 4.12 -ს და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.</p> | | | |
| კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგის ინფორმაცია | | დიახ | არა |
| 5 | საჭიროებს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს? | ✓ | |
| <p>თუ პასუხი მე-5 კითხვაზე არის „დიახ“ , მაშინ გამოყენებული უნდა იქნას მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკა OP/BP 4.11 - ფიზიკური კულტურული რესურსები და შემთხვევით აღმოჩენების განკარგვა უნდა განხორციელდეს OP/BP 4.11-ით და გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.</p> | | | |

* მოწამეთას მონასტერი მდებარეობს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაში (საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის კონსტიტუციური შეთანხმების შესაბამისად).

ის მიწის ნაკვეთი (ს/კ 39.07.33.133), რომელზეც უნდა მოეწყოს ახალი პარკინგი, რეგისტრირებულია როგორც ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრება და სარგებლობის უფლებით გადაცემულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდზე (იხ. დანართი 1).

გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა

შესავალი

1. ფონური ინფორმაცია

საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 25 ივნისს დაამტკიცა საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია (მთავრობის დადგენილება #172), რომელიც მომზადდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ. სტრატეგიის მთავარი მიზანია ხელშემწყობი გარემოს შექმნა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის და ცხოვრების დონის ამაღლება. აღნიშნული მიზანი მიღწეული უნდა იქნეს დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით, გაზრდილი კონკურენტულობით და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრებით.

იმერეთში არსებული ტურისტული და სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის უკეთ გამოყენებისათვის და შიდა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შესამცირებლად, საქართველოს მთავრობამ თხოვნით მიმართა მსოფლიო ბანკს იმერეთის რეგიონული განვითარებისათვის ფინანსური მხარდაჭერის თაობაზე. საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ ერთობლივად მომზადდა რეგიონული განვითარების მეორე პროექტი და მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი იქნა სესხი მისი განხორციელებისათვის. ქვე-პროექტი არის რეგიონული განვითარების მეორე პროექტის ნაწილი, რომელიც მომზადდება, განიხილება, დამტკიცდება და განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის პოლიტიკების შესაბამისად.

2. ინსტიტუციონალური სტრუქტურა

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერებას, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში სახსრების ინვესტირებას, ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების მდგრად საფუძველზე გაუმჯობესებას. მუნიციპალური განვითარების ფონდი არის რეგიონული განვითარების მეორე პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია და პასუხისმგებელია მის ყოველდღიურ მართვაზე, გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების ჩათვლით.

მუნიციპალური განვითარების ფონდი ამზადებს და მსოფლიო ბანკს წარუდგენს რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში ქვე-პროექტების შეფასების ანგარიშებს, რომელთაც თან ერთვის ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების დოკუმენტები, როგორცაა გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმასთან ერთად ან გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა, რომელიც

მომზადებულია მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის გამოყენებით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, განსახლების სამოქმედო გეგმა.

დაინტერესებული მხარეები:

გრანტის მიმღები/მსესხებელი: საქართველოს მთავრობა წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ

ადგილობრივი წარმადგენელი: ტყიბულის მუნიციპალიტეტი

დაფინანსების წყარო: მსოფლიო ბანკი (WB)

განმახორციელებელი სააგენტო: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ)

კონტრაქტორი: შესარჩევია

3. კანონმდებლობა და ნორმები

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად (2017), ქვე-პროექტი არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და გარემოზე ზემოქმედების ნებართვას.

ქვე-პროექტი უნდა განხორციელდეს მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების შემდეგი დოკუმენტების შესაბამისად:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების უსაფრთხოების პოლიტიკა (OP/BP 4.01)
- ფიზიკური კულტურული რესურსების უსაფრთხოების პოლიტიკა (OP/BP 4.12)

აღნიშნული უსაფრთხოების პოლიტიკებისა და რეგიონული განვითარების მეორე პროექტის გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, ქვე-პროექტი კლასიფიცირდა B(+) კატეგორიად და საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის მომზადებას.

ქვე-პროექტის აღწერა

ქვე-პროექტი ითვალისწინებს მოწამეთას სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციას, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს შემდეგი სამუშაოების ჩატარებას:

1. არსებული პარკინგის რეაბილიტაცია;
2. ახალი ავტოსადგომის ზონის მოწყობა არსებულიდან 120 მეტრში;
3. საკომუნიკაციო სისტემის (ელექტრო მომარაგება, წყალ-კანალიზაცია) რეაბილიტაცია;
4. არსებული ვიზიტორთა ცენტრის შენობის რეაბილიტაცია;
5. არსებულ საპირფარეშოს რეაბილიტაცია;
6. გალავნის კედლების გამაგრებითი საკონსერვაციო სამუშაოები;
7. მცირე არქიტექტურული ფორმები კომპლექსის ტერიტორიაზე;
8. რკინიგზის გადასასვლელის რეაბილიტაცია;
9. დამატებითი ბილიკების მოწყობა კომპლექსის ტერიტორიაზე;

10. მდინარე წყალწითელას ნაპირზე ჩასასვლელი ბილიკი.

1. არსებული პარკინგის რეაბილიტაცია

არსებული პარკინგის რეაბილიტაციისას, არ შეიცვლება გაბარიტული ზომები, ვინაიდან აღნიშნული შესაბამისობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან (5მ x 3,5 მ). პარკინგი გათვლილი იქნება 12 ავტომობილზე. პროექტით განისაზღვრა სადრენაჟე არხის გადაწევა რამდენიმე მეტრით, პრევენციული მიზნით, რათა არ მოხდეს მისი მარტივად დაზიანება. ხოლო სადრენაჟე ცხურები მოცილდება სავალ ნაწილს. ზემოხსენებული სამუშაოების განხორციელებისას მოხდება პარკინგის ტერიტორიაზე არსებული ძველი არსებული ასფალტის საფარის მოხსნა და სანაცვლოდ ახლის დაგება. პარკინგის ტერიტორიის მიმდებარედ მოეწყობა ბორდიური და ბეტონის სადრენაჟე არხი.

2. ახალი პარკინგის მოწყობა

ქვე-პროექტი ითვალისწინებს ახალი პარკინგის მოწყობას მოწამეთას კომპლექსის არსებული პარკინგიდან 120 მეტრში (იხ. დანართი 1). მიწის ნაკვეთი (ს/კ 39.07.33.133) რეგისტრირებულია, როგორც ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრება და სარგებლობის უფლება მინიჭებული აქვს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს. ახალ პარკინგზე გათვალისწინებულია 14 ადგილი მსუბუქი ავტომობილისათვის, მიკროავტობუსებისათვის - 8 და ავტობუსებისათვის 5 ადგილი.

გარდა ზემოხსენებულისა, აგრეთვე მოეწყობა რკინა-ბეტონის საყრდენი კედელი და სადრენაჟე სისტემა, რომელიც დაუერთდება არსებულ სადრენაჟე არხს. ტერიტორიაზე დაიგება ასფალტო-ბეტონის ფენა, მოეწყობა ბორდიურები და აგრეთვე მოხდება ტერიტორიის კეთილმოწყობა.

3. საკომუნიკაციო სისტემა

პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს ობიექტისათვის საკომუნიკაციო სისტემის რეაბილიტაციას, შეიცვლება კომპლექსის გაუმართავი ელექტრო სისტემა ასევე არსებული განათების სისტემები. პარკინგის განათების და ტუალეტის მომარაგება მოხდება არსებული სატრანსფორმატორო სადგურიდან სადაც ტუალეტისთვის დაიდგმება დამოუკიდებელი მრიცხველი და პარკინგის განათება მიუერთდება მუნიციპალური განათების ქსელს. ტერიტორიაზე მოეწყობა ძირითადი ტერიტორიის და დეკორაციული განათებები სანათების ტიპებად კი გამოიყენება ენერგო დამზოგავი დიოდური ლედ სანათები.

პროექტის მიხედვით კომპლექსის წყლით მომარაგება ხდება ტელეანძასთან მდებარე 2000 მ³-იანი რეზერვუარიდან სოფ. მოწამეთასთან მოწყობილია განშტოება სამომავლოდ სოფლის წყალმომარაგებისათვის. ვინაიდან ტერიტორიას წყალი მიეწოდება გრაფიკით, პროექტი ითვალისწინებს რეზერვუარების მოწყობას როგორც ზაფხულის, ასევე - ზამთრის სეზონისათვის. ცალკე მდგომი სან-კვანძისა და ზამთრის სეზონისათვის

გათვალისწინებულია 5-5 ტონიანი ავზები, ხოლო ზაფხულისათვის 80 ტონიანი რეზერვუარი, რომელიც ზამთარში არ იცლება და გამოიყენება როგორც სახანძრო მარაგი. ზაფხულში რეზერვუარი იცლება, ირეცხება და გამოიყენება როგორც სასმელად, ასევე - სახანძროთაც. დამატებითი უსაფრთხოებისათვის, სასმელი წყლის გაუვნებლობის მიზნით, გათვალისწინებულია ულტრაიისფერი დანადგარის დამონტაჟება.

გარდა ზემოხსენებულისა, საკანალიზაციო წყლები მოგროვდება და ჩაეშვება ეზოში მდებარე გამწმენდ ნაგებობაში. ზაფხულის პერიოდში ორი გამწმენდი მოწყობილობა იმუშავებს (ერთი - წარმადობით 4 მ³/დღ, ხოლო მეორე - 6 მ³/დღ). გაწმენდილი წყალი მილით გაიყვანება ფერდობზე, ხოლო შემდეგ არხის მეშვეობით ჩაეშვება ხევში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება, ვინაიდან არც მიწები და არც არხი არ კვეთს მუნიციპალურ ან/და კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს.

4. არსებული ვიზიტორთა ცენტრის შენობის რეაბილიტაცია

პროექტი ითვალისწინებს მოწამეთას სამონასტრო კომპლექსთან არსებული ვიზიტორთა ცენტრის რეაბილიტაციას და ამავდროულად შშმ პირთათვის ადაპტაციას. ამჟამად შენობა არსებულია, თუმცა ის არ ფუნქციონირებს და, შესაბამისად, არც ხალხია დასაქმებული. გამომდინარე აქედან, სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, სოციალურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. შეიცვლება შენობის სახურავი და შენობის შიგნით არსებული ტიხრები, დამონტაჟდება სადრენაჟო სისტემა საყრდენი კედლების დანესტვისგან დაცვის მიზნით, შეიცვლება დაზიანებული კარ-ფანჯარა ახლით, ფანჯრის ღიობებზე მოეწყობა საცრემლეები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება არსებულ სანიტარულ კვანძებს და მოხდება მისი ადაპტაცია შშმ პირთათვის, აგრეთვე კედლებსა და ჭერზე სარემონტო სამუშაო ჩატარდება და განახლდება საკომუნიკაციო ქსელი და ფურნიტურა, აგრეთვე მოხდება წყალ-კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაციას მოეწყობა დარბაზში მოწამეთას ისტორიის ექსპოზიციისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. აგრეთვე რეაბილიტაცია ჩაუტარდება გიდის და ადმინისტრაციის ოთახებს. შენობაში შესასვლელად მოეწყობა პანდუსები და ელ. ბაქანი შშმ პირთათვის.

5. არსებული საპირფარეშოს შენობის რეაბილიტაცია

ქვე-პროექტი ითვალისწინებს არსებული საპირფარეშოს შენობის რეაბილიტაციას, რაც გულისხმობს სახურავისა და კარ-ფანჯრების შეცვლას, ფასადის რეაბილიტაციას. აგრეთვე მოხდება კედლებზე, ჭერზე, იატაკზე სარემონტო სამუშაოების ჩატარება, საკომუნიკაციო ქსელის და ფურნიტურის (ჩამრთველების, დენცქვიტების, ხელის საშრობების) განახლება. შეიცვლება კომპლექსის გაუმართავი ელექტრო სისტემა ასევე არსებული განათების სისტემები. შენობას წყალი მიეწოდება ახალი 5 ტონიანი რეზერვუარიდან, ხოლო ცხელი წყალი - 80 ლიტრიანი წყლის გამაცხელებლიდან. შენობაში ფეკალური მასები იკრიბება და გაიყვანება შენობის გარეთ საკანალიზაციო ორმოში. კანალიზაციის ქსელზე

გათვალისწინებულია რევიზიისა და გამწმენდის მოწყობა. პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს გათბობა-ვენტილაციის სისტემის მონტაჟს.

6. გალავნის კედლების გამაგრებითი საკონსერვაციო სამუშაოები

ბილიკის გასწვრივ და მოსასვენებელი ზონის მიმდებარე საყრდენი კედლების ფრაგმენტები მნიშვნელოვნადაა დაზიანებული და არსებობს მათი მოწყვეტის საფრთხე. წარმოდგენილი პროექტი თვალისწინებს არსებული საყრდენი კედლებისა და დანაპრალელებული კლდის იმ ნაწილის გამაგრების სამუშაოებს, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრება მდინარეზე ჩასასვლელ ბილიკს. საყრდენი კედლის ის ნაწილი, რომელიც შესრულებულია ბუნებრივი ქვის წყობით და ძლიერ დაშლილია, ექვემდებარება გადაწყობას იგივე მასალით, კირის ხსნარის საფუძველზე.

7. მცირე არქიტექტურული ფორმები კომპლექსის ტერიტორიაზე

კომპლექსის ტერიტორიაზე განსაზღვრულია თანამედროვე დიზაინის მცირე არქიტექტურული ელემენტები: სკამები, ურნები, საინფორმაციო დაფები და მანიშნებლები, შემზღუდავი ბარიერები, გარე ვაჭრობის დახლები. ასევე პროექტით განსაზღვრულია კომპლექსის ტერიტორიის ადაპტაცია შშმ პირებისათვის - ვიზიტორთა ცენტრის შენობაში შეუფერხებლად მოხვედრისათვის დამონტაჟდება ელ. ბაქანი, ხოლო კომპლექსის ტერიტორიაზე - მსუბუქი კონსტრუქციის პანდუსები. რაც შეეხება პარკინგიდან კომპლექსის მთავარ მოედანზე ჩასასვლელ ბილიკს, მისი დახრილობა ვერ აკმაყოფილებს სტანდარტს, ასევე ბილიკის სიგანიდან გამომდინარე შეუძლებელია რაიმე ელექტრო საშუალებების გამოყენება. ამ პრობლემების გათვალისწინებით კომპლექსის მთავარ მოედანზე დაპროექტდა 2 ადგილიანი ავტოსადგომი, რათა შშმ პირებმა შეძლონ პარკინგიდან კომპლექსისკენ მიმავალი მანძილი გაიარონ ავტომობილით.

8. რკინიგზის გადასასვლელის რეაბილიტაცია

პარკინგიდან მიმავალ ვიზიტორებს, ასევე - ავტომობილით მისულ სტუმრებს უწევთ რკინიგზის გადასასვლელის გადაკვეთა, რომელიც, დღეის მდგომარეობით, მოუწესრიგებელია და ქმნის დისკომფორტს. პროექტის კონცეფციით განსაზღვრულია ამ კვანძის მოწესრიგება მიწის დონის ოპტიმალურ ნიშნულამდე მიყვანა და გადასასვლელზე სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი პანელების საფარის მოწყობა მზა ფილებით. აგრეთვე განთავსდება გამაფრთხილებელი ნიშნები და ბარიერები.

9. დამატებითი ბილიკების მოწყობა კომპლექსის ტერიტორიაზე

კომპლექსის ტერიტორიაზე ახალი ელემენტების გაჩენის შემდეგ საჭირო გახდა დამატებითი საფეხმავლო ბილიკების გაჩენა, ახალი ბილიკები თანხვედრაში იქნება არსებულთან და მოეწყობა იგივე პრინციპით. გამოყენებული იქნება ქვიშა-ცემენტი და ბუნებრივი ქვები.

10. მდინარე წყალწითელას ნაპირზე ჩასასვლელი ბილიკი

მდინარე წყალწითელასკენ მიმავალი ბილიკი ამჟამად საკმაოდ რელიეფური და სახიფათოა, შესაბამისად, განსაზღვრულია ბილიკის რეაბილიტაცია და აგრეთვე - მოაჯირის მოწყობა. ბილიკის ბუნებრივი რელიეფის რღვევისაგან თავიდან აცილების მიზნით და მინიმალური ჩარევის პრინციპის დაცვით, მარტივი და ეფექტური გზა არის ბილიკის დატერასება და ხის მოაჯირის მოწყობა.

არსებული გარემო

მოწამეთას მონასტერი მდებარეობს საქართველოში, იმერეთის მხარეში, ქუთაისის აღმოსავლეთით, 6 კილომეტრის დაშორებით, მდინარე წყალწითელას ხეობაში, სოფელ მოწამეთაში. ადმინისტრაციულად ეს ტერიტორია ტყიბულის მუნიციპალიტეტს მიეკუთვნება. თბილისიდან დაშორებულია 236 კმ-ით. საპროექტო ტერიტორია განლაგებულია მდ. წყალწითელას ხეობაში, ზღვის დონიდან დაახლ. 200 მ-ის სიმაღლეზე. ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, იგი იმერეთის მთისწინეთს მიეკუთვნება, რომელიც გორაკ-ბორცვიანი ლანდშაფტით ხასიათდება. ხეობა აგებულია ცარცული კირქვებით, სადაც მრავალრიცხოვანი კარსტული წარმონაქმნებია განვითარებული.

მონასტრის შემოგარენი დაფარულია კოლხური ტიპის ფოთლოვანი ტყით, რომელიც განვითარებულია ზომიერად ტენიანი სუბ-ტროპიკული ჰავის პირობებში. ლანდშაფტი ნაწილობრივ სახეცვლილია ანთროპოგენული ზემოქმედების გამო, თუმცა ტყის საფარი მეტ-ნაკლებად კარგადაა შემონახული. ტერიტორია დაფარულია ტყის ყომრალი ნიადაგით. სამონასტრო კომპლექსიდან მოშორებით, სოფ. მოწამეთას მიდამოებში აგრარული ლანდშაფტები გვხვდება.

გეოლოგიური პირობები

საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიურმა შესწავლამ აჩვენა, რომ ამ უბანზე მტკიცე ქანებია გავრცელებული. კერძოდ კი ქანები მეტწილად VII ჯგუფს განეკუთვნება და მიწის სამუშაოების საწარმოებლად პნევმატური მექანიზმების გამოყენება იქნება საჭირო.

გეომორფოლოგიურად უბანი წარმოადგენს იმერეთის გორაკ-ბორცვიან მთისწინეთის ნაწილს, შემავალს საქართველოს მთიანეთშორისი ტექტონიკური დეპრესიის ოლქში, რაჭის ქედის სამხრეთ კალთის ზოლში, კერძოდ მდ. წყალწითელას ხეობის მარჯვენა ციცაბო ფერდის მონაკვეთს. საკვლევი მოედანი წარმოადგენილია სამხრეთ-აღმოსავლეთით ორიენტირებული დაფერდებული რელიფით.

გეოტექტონიკური თვალსაზრისით უბანი შედის დიდი კავკასიონის სამხრეთი ფერდის ნაოჭა სისტემის, ქვემო იმერეთის ზონაში, საქართველოს ბელტის დასავლეთის დაძირვის ჩრდილო საზღვარზე, სადაც ზოგან ზედაპირზე სქელი ზედა იურული და ცარცული ასაკის ნალექები შიშვლდება. უშუალოდ საკვლევი მოედნის ზედაპირზე და მიმდებარედ ზოგან გამოდიან ცარცული ასაკის კლდოვანი ქანები კირქვები, ეს უკანასკნელი ძლიერ დანაპრალიანებული და ზედაპირზე აშლილები არიან, თუმცა მთლიანობაში სტრუქტურულად დაუნაწევრებელი ფორმით წარმოგვიდგება. უბნის ზედაპირი და ფერდობები ნაყარისა და თიხნარების თხელი შრით არის დაფარული. მოედანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი გამოსავლები არ არსებობს. ზოგ ადგილებში ადგილი აქვს ზედაპირული წყლების ფერდობულ გამონაჟონს.

კლიმატური პირობები

კლიმატური პირობებით უბანი შედის სუბტროპიკული კონტიტენტური ჰავიდან ზღვის ჰავაზე გარდამავალ ოლქში, საშუალო წლიური ტემპერატურით +12.2C. აბსოლუტური მინიმუმი -27C. მაქსიმუმი +38C. შეფარდებითი ტენიანობა 72%. მოსული ნალექების წლიური ჯამი 2137 მმ. თოვლის საფარის სიმაღლე ზოგჯერ აღწევს 1.5მ-ს. ნიადაგში (გამოფიტვის ზონა) მზრალობის ჩაღწევის ყველაზე დიდი სიღრმე ზამთრის მაქსიმუმიდან 6 სანტიმეტრია, ხოლო 0C ტემპერატურის ჩაღწევა ნიადაგში შეადგენს 0.00 სმ-ს. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა წლის განმავლობაში 72%-ია. წლის განმავლობაში უბანზე ჭარბობენ აღმოსავლეთის და დასავალთის ქარები.

ჰიდროლოგია

საპროექტო ტერიტორიაზე მიედინება მდ. წყალწითელა, რომელიც მდ. ყვირილას შენაკადია. მდ. წყალწითელა კანონისებრ ხეობაში მიედინება. იგი 49 კმ-ის სიგრძისაა და მისი აუზის ფართობი 221 კმ²-ია. მდინარე უმთავრესად წვიმის წყლით იკვებება. საშუალო წლიური ხარჯი შესართავთან 7.56 მ³/წმ-ია.

წყალწითელა ქვე-პროექტისთვის შერჩეული ტერიტორიიდან დაახლ. 200 მ-ში მიედინება. საპროექტო ტერიტორიას და მდინარეს ყოფს საავტომობილო გზა და საკმაოდ დაქანებული მთის ფერდობი.

მცენარეული საფარი

როგორც აღინიშნა, ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად მიტოვებული კარიერი შეირჩა. ამჟამად ამ ტერიტორიაზე განვითარებულია მეორადი კორომი, სადაც ძირითადად თხმელა იზრდება (დაახლ. 60 ძირი); ქვე-ტყე შექმნილია ფოთლოვანი ბუჩქნარით. მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელებული სახეობებიდან აღსანიშნავია ბზა, რომელიც საქართველოს წითელი წიგნის სახეობაა; თუმცა, თავად საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში ბზა არ გვხვდება.

ფაუნა

წყალწითელას ხეობაში ბინადრობს ისეთი ფართოდ გავრცელებული ძუძუმწოვრები, როგორცაა ტურა, მელა და მაჩვი. იშვიათი ძუძუმწოვრებიდან აქ გვხვდება წავი და ნუტრია, რომელთა საბინადრო ადგილი მდინარის ნაპირებია. უნდა აღინიშნოს, რომ მდ. წყალწითელას ხეობა არ წარმოადგენს ამ უკანასკნელთა კრიტიკულ ადგილსამყოფელს. თავად მდ. წყალწითელა წარმოადგენს წვერას, ჭანარის, მურწას, ქაშაპისა და სხვა რამდენიმე თევზის სახეობის ჰაბიტატს. ზამთარში შესაძლებელია წყალმცურავი ფრინველების ნახვა.

თავად საპროექტო ტერიტორიაზე ცხოველთა მნიშვნელოვანი ადგილსამყოფელები, როგორცაა ფრინველთა ბუდეები, ძუძუმწოვრების ბუნაგი და სხვა, არ დაფიქსირებულა.

დაცული ტერიტორიები

საპროექტო ტერიტორიიდან 2 კმ-ში განლაგებულია წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლი. იგი მოიცავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. გოდოგანსა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. გელათს შორის 7.5 კმ-იან ზოლს, სულ 21.7 ჰექტარს და იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების სისტემაში შედის.

ბუნების ძეგლი წარმოადგენს კოლხური ტყით დაფარულ მდ. წყალწითელას კანიონისებრ ხეობას, რომელსაც მაღალი ლანდშაფტური ღირებულება გააჩნია. ხეობაში მრავალი მინერალური წყარო გამოდის.

ნარჩენების მართვა

მოწამეთას მონასტერს მრავალრიცხოვანი მნახველი ჰყავს, რის გამოც ნარჩენების მართვის საკითხი აქ აქტუალურია. თუმცა, მონასტრის მიმდებარედ ნარჩენების მართვის ღონისძიებები არ ტარდება, რის გამოც ტერიტორია მნიშვნელოვნადაა დაბინძურებული საყოფაცხოვრებო ნარჩენებით.

ადგილობრივი მოსახლეობა

ქვე-პროექტი სოფ. მოწამეთას მახლობლად, მისგან დაახლ. 1.5 კმ-ში განხორციელდება. სოფ. მოწამეთა ტყიბულის მუნიციპალიტეტს მიეკუთვნება. ამ სოფლის მოსახლეობა მცირერიცხოვანია, იგი 300 კაცს ითვლის. მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყაროა სოფლის მეურნეობა, კერძოდ კი მემცენარეობა.

კულტურული მემკვიდრეობა

ქვე-პროექტისთვის უშუალო სიახლოვეს, განლაგებული წმ. მოწამეების დავითისა და კონსტანტინეს სახელობის სამონასტრო კომპლექსი დათარიღებულია VIII-IX საუკუნით.

ამას გარდა, ქვე-პროექტიდან დაახლ. 2 კმ-ში, სოფ. გელათში მდებარეობს გელათის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც XII-XIII საუკუნის ძეგლია.

4. ქვე-პროექტის პოტენციური ზეგავლენების ანალიზი

4.1. მშენებლობის ფაზა

4.1.1. სოციალური ზეგავლენა

- **სოციალური საკითხების ზოგადი მომიხილვა:** სოციალურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის.
- **განსახლების საკითხები:** ქვე-პროექტი არ ითვალისწინებს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შესყიდვას, არ არის მოსალოდნელი პერმანენტული ზეგავლენა კერძო ან იჯარით გაცემულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, კერძო საკუთრებაზე ან ბიზნესზე.
- **დასაქმების შესაძლებლობის შექმნა:** მოსალოდნელია შეზღუდული და დროებითი დადებითი ზეგავლენა მშენებლობის ფაზაში და მცირე ოპერირების ფაზაში.

- **ხმაურთან, გამონაბოლქვთან და ვიბრაციასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის საკითხები:** შეზღუდული და დროებითი.
- **სატრანსპორტო მოძრაობის დარღვევა:** ქვე-პროექტთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობების შედეგად, დროებით შეიზღუდება ადგილობრივი სატრანსპორტო მოძრაობა.
- **უსაფრთხოება და წვდომა:** ქვე-პროექტის ფარგლებში სამუშაოების მიმდინარეობისას შეიზღუდება სარეაბილიტაციო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიებზე მისასვლელი და არ ემუქრება საფრთხე არც ტრანსპორტის მოძრაობას და არც ფეხით მოსიარულეებს.

4.1.2. ზეგავლენა ფიზიკურ კულტურულ მემკვიდრეობაზე

ქვე-პროექტის ფარგლებში სამუშაოები განხორციელდება სამონასტრო კომპლექსის კულტურული მემკვიდრეობის ზონის გარეთ. არ იგეგმება მონასტრის შენობის სტრუქტურული ელემენტებზე ინტერვენცია. აქედან გამომდინარე უარყოფითი ზეგავლენა ძეგლის სტრუქტურულ მთლიანობასა და მის ისტორიულ ღირებულებაზე მოსალოდნელი არ არის.

სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების შედეგად, განსაკუთრებით მიწის ექსკავაციის სამუშაოების დროს, არქეოლოგიური ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში, სამუშაოები უნდა შეწყდეს დაუყოვნებლივ და აღნიშნულის შესახებ ეცნობოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს. სამუშაოების განახლება შესაძლებელ იქნება მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვის საფუძველზე.

ოპერირების ფაზაში რისკები დაკავშირებულია ვიზიტორებთან, კერძოდ ვანდალიზმის შემთხვევებთან, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის მუშაობასთან და ნარჩენების მართვასთან.

4.1.3 ზეგავლენა ბუნებრივ გარემოზე

სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების არასწორმა მართვამ, შენახვამ, გამოყენებამ და საბოლოო განთავსებამ შეიძლება გამოიწვიოს სამშენებლო ტერიტორიასა და მის მიმდებარედ წყლისა და ნიადაგის დაბინძურების რისკი. მანქანა-დანადგარების არასწორმა მოვლა-პატრონობამ და საწვავით გამართვამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს მიწისა და, გარკვეულწილად, წყლის (სეზონური ნიაღვრები) დაბინძურების რისკი, თუმცა, ამ უკანასკნელის ალბათობა მცირეა.

ნიადაგის დაბინძურება

ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოებით დაბინძურების პოტენციური წყაროები შეიძლება იყოს:

- დიზელის საწვავი, ზეთები, სამუხრუჭე სითხე, ანტიფრიზი (დაღვრა/გაჟონვა მანქანა/დანადგარებიდან);

- ცემენტი, ბეტონი და სხვა დამბინძურებლები;
- სამშენებლო ნარჩენები (შესაფუთი მასალები, ქვები, ხრეში, ცემენტის, ბეტონის, ხის და სხვა მასალების ნარჩენები).

წყლის დაბინძურება

წყლების დაბინძურება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა წყაროებიდან:

- საწვავის, ზეთების ან სხვა სახიფათო ნივთიერებების დაღვრა, განსაკუთრებით საწვავით გამართვის ან მანქანა-დანადგარების შეკეთების სამუშაოების დროს;
- ექსკავაციის შედეგად წარმოქმნილი შლამიანი წყლებით;
- მანქანა-დანადგარების გარეცხვისას;
- დაბინძურებული მიწის ან გრუნტის წყლების ზემოქმედებით;
- ზედაპირულ და/ან გრუნტის წყლებზე ქლორის შემცველი ნარჩენი წყლით, რომელიც წარმოიქმნება ახლად დამონტაჟებული წყალმომარაგების სისტემის დეზინფექციის შედეგად.

მოსალოდნელია დაღვრების სწრაფი ჩადინება წყლის ობიექტებში, რის შემდეგაც ძნელი იქნება დაბინძურების ლოკალიზება, და გაიზრდება ქვემო დინებაში უფრო დიდი ფართობის დაბინძურების რისკი. ამიტომ მნიშვნელოვანია ლოკალიზების ღონისძიებების დაუყოვნებლივ გატარება წყლის დაბინძურების რისკის წარმოქმნის შემთხვევაში.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის შემდგომ გაშიშვლებული გრუნტი წვიმიან ამინდში შეიძლება ჩაირეცხოს სამუშაოების განხორციელების ადგილიდან.

ჰაერის დაბინძურება და ხმაური

ჰაერის დაბინძურების სავარაუდო ზეგავლენა მცირეა. ჰაერის დაბინძურება შეიძლება გამოიწვიოს მანქანა-დანადგარების მოძრაობამ/მუშაობამ ქვე-პროექტის ტერიტორიაზე და მასალების/ნარჩენების ტრანსპორტირებისას. ზემოქმედების წყაროები შეიძლება იყოს:

- მძიმე ტექნიკის მუშაობით გამოწვეული ხმაური და ვიბრაცია;
- გამონაბოლქვი (სატრანსპორტო საშუალებებიდან, ბულდოზერებისაგან, ექსკავატორებისაგან);
- მტვერი.

სამშენებლო ნარჩენები

ინერტული სამშენებლო ნარჩენები

სამშენებლო სამუშაოებისას მოსალოდნელია შემდეგი სახის ინერტული სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა:

- ბუნებრივი მასალები (გრუნტი, ქვები);
- არასახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებული ნიადაგი;

არასახიფათო სამშენებლო ნარჩენები

არასახიფათო სამშენებლო ნარჩენები შეიძლება მოიცავდეს შესაფუთ მასალას და რკინის (ჯართი, მავთული) ნარჩენებს, რომელთა წარმოქმნა მცირე ოდენობითაა მოსალოდნელი.

სახიფათო სამშენებლო ნარჩენები

მოსალოდნელია მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა მანქანა-დანადგარების ტექნიკური მომსახურების სამუშაოების შედეგად, როგორცაა:

- თხევადი საწვავი;
- ზეთები, ჰიდრავლიკური სითხე;
- ქიმიურ ნივთიერებების, მაგ. ანტიფრიზი;
- დაბინძურებული ნიადაგი;
- გაჟონვის საწინააღმდეგო მასალები, რომლებიც გამოყენებული იქნა ზეთისა და ქიმიური ნივთიერებების შესაწოვად;
- მანქანის/ძრავის ფილტრის კარტრიჯები;
- ზეთიანი ტილოები, ნახმარი ფილტრები, დაბინძურებული ნიადაგი და ა.შ.

ტრანსპორტთან დაკავშირებული ზეგავლენა

შესაძლოა ადგილი იქნეს შემდეგი სახის ზეგავლენებს: სატრანსპორტო საცობების წარმოქმნა, ჰაერის დაბინძურება გამონახობლქვით, გზების ატალახება, ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან ტექნიკური მომსახურების დროს დაბინძურება.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაკარგვა მისი მოჭრის გამო

პროექტის ფარგლებში აგრეთვე მოხდება 1100 კვ.მ გრუნტის მოჭრა. ნაწილი გრუნტი უკანვე ჩაიყრება, ხოლო ჭარბი მასის გატანა მოხდება მუნიციპალიტეტის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე. ნიადაგის საფარის ზედა ფენის დანაკარგებს მისი მოჭრის შედეგად შეიძლება ადგილი ექნეს მისი არასწორის შენახვისა და რეკულტივაციის შედეგად გადარეცხვის გამო.

პოტენციური ზეგავლენა მცენარეულ საფარზე, ფაუნასა და ლანდშაფტზე

დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად, კერძოდ - მოწამეთას ტერიტორიაზე ახალ პარკინგის მოსაწყობად უნდა მოიჭრას: 1 ძირი წიფელი, 2 ძირი შავი კუნელი და 25 ძირი ჯაგრცხილა. წარმოდგენილი სახეობებიდან არც ერთი არ მიეკუთვნება საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ სახეობებს. თანდართულია ტყიბულის მერის მიერ დამოწმებული ხეების ინვენტარიზაციის უწყისი და მუნიციპალიტეტის შეთანხმების წერილი N47/7793 აღნიშნული ხეების მოჭრის თაობაზე. ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი მცენარეულობას შორის არ არის საქართველოს წითელი ნუსხის, ენდემური ან იშვიათი სახეობა. ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი სახეობები ფართოდაა გავრცელებული რეგიონში და მათი ამოღება გარემოდან ამ სახეობების პოპულაციაზე უმნიშვნელო ზემოქმედებას იქონიებს.

ქვე-პროექტის ტერიტორიაზე ცხოველთა მნიშვნელოვანი ადგილსამყოფელები, როგორცაა ფრინველთა ბუდეები, ან ძუძუმწოვრების ბუნაგი არ დაფიქსირებულა. ამიტომ, ფაუნაზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ირიბი ზემოქმედება შესაძლოა დაკავშირებული იყოს სამშენებლო სამუშაოებისა და ტექნიკის მუშაობით გამოწვეულ ხმაურთან, რომელმაც შესაძლოა დააფრთხოს ახლომანხლო მყოფი ცხოველები. ეს ზემოქმედება ხანმოკლე იქნება. შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, მშენებლობის ფაზაზე ფაუნაზე ზემოქმედების დონე უმნიშვნელო იქნება.

ექსპლუატაციის ფაზაზე შესაძლოა ადგილი ჰქონდეს წყლის ჰაბიტატებზე ზემოქმედებას, თუ ობიექტიდან წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები არასათანადოდ იქნა გაწმენდილი. დაგეგმილი გამწმენდი ნაგებობის სწორად მოწყობა-ექსპლუატაციის შემთხვევაში კი ეს ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება.

4.2. ოპერირების ფაზა

ქვეპროექტთან დაკავშირებული პოტენციური ზეგავლენებია:

- ტურისტული ნაკადის ზრდა გამოიწვევს ნარჩენების წარმოქმნისა და ხმაურის დონის ზრდას;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიზრდება სატრანსპორტო მოძრაობა, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ხმაურისა და გამონახობლქვის გაზრდას, საჭირო გახდება ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფის გაძლიერება;
- მონასტერის ტერიტორიაზე ტურისტული ტურების განხორციელებისას შეიძლება წარმოიქმნას კონფლიქტები ადგილობრივ ტრადიციებთან და რელიგიური ხასიათის შეზღუდვებთან.

სასმელი წყლის დაქლორვის პოტენციური რისკები უკავშირდება დაქლორვის პროცესის დარღვევას, როდესაც:

- ხდება კირ ქლორის არასათანადო ტრანსპორტირება, შენახვა და გამოყენება, რაც ზიანს მიაყენებს პერსონალის ჯანმრთელობას და გამოიწვევს კირ ქლორის დოზის გადაჭარბებას სასმელ წყალში.
- დაქლორვის პროცესის შეჩერება.

დადებითი სოციალური ზეგავლენა უკავშირდება ტურისტული ინფრასტრუქტურის გაზრდას, რასაც დასაქმების მხრივ დადებითი გავლენა ექნება ადგილობრივი მოსახლეობაზე.

5. გარემოსდაცვითი მართვის გეგმა

გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა მომზადებული იქნა, რათა უზრუნველყოს გარემოზე ქვე-პროექტის უარყოფითი ზეგავლენის მინიმუმადე შემცირება.

5.1 სამშენებლო ფაზა

კონტრაქტორს მოეთხოვება:

1. სამშენებლო მასალის მოპოვება მხოლოდ ლიცენზირებული მომწოდებლისგან.

2. თუ კონტრაქტორს სურვილი აქვს მასალა მოიპოვოს კარიერიდან ან მდინარის კალაპოტიდან (ვიდრე ეს მასალები შეისყიდოს სხვა მომწოდებლისგან), მაშინ მან ინერტული მასალების ამოღებაზე უნდა მოიპოვოს ლიცენზია.
3. თუ კონტრაქტორს სურს ამუშაოს თავისი ასფალტის ქარხანა (ვიდრე შეისყიდოს ეს მასალა სხვა მომწოდებლისგან) ასეთ შემთხვევაში მან უნდა მოიპოვოს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.
4. თუ კონტრაქტორს სურს სამუშაოს საკუთარი ბეტონის ქარხანა (ვიდრე შეისყიდოს ეს მასალა სხვა მომწოდებლისგან) ასეთ შემთხვევაში მან უნდა მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში და შეათანხმოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან.
5. სამშენებლო ნარჩენების განთავსება უნდა მოხდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე წერილობითი შეთანხმების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ და ზედამხედველ კომპანიასთან შეთანხმებულ ადგილზე. წარმოდგენილი უნდა იქნეს შეთანხმებულ ადგილზე ნარჩენების განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტები.
6. მშენებელი კონტრაქტორი ვალდებულია, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის“ მე-8 მუხლის თანახმად, მოიპოვოს მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ გაცემული ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობა, რომელიც ხე-მცენარეებიდან მიღებული მერქნული რესურსის კანონიერად წარმოშობის დადასტურების მიზნით, უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - ა) ხე-მცენარეების მოჭრის ან მოპოვების ადგილი (მისამართი, ზუსტი ადგილმდებარეობის მითითებით) და მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი (ხე-მცენარეების მოჭრის ან მოპოვების შემთხვევაში);
 - ბ) მიღებული მორების რაოდენობა, თითოეული მორის სახეობა (ჯიში), სიგრძე (მ), მორის დიამეტრი წვრილი ბოლოდან (სმ), ხოლო ხე-მცენარეების (მათ შორის, მწვანე ნარგავების) შემთხვევაში – მათი სახეობა (ჯიში), რაოდენობა.
 - გ) ხე-მცენარეების მესაკუთრის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, პირადი ნომერი, იურიდიული პირის შემთხვევაში – მისი სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი).
7. სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორმა მუნიციპალური განვითარების ფონდში უნდა წარადგინოს ზემოთ მითითებული დოკუმენტები.

სამშენებლო პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას რიგი შეზღუდვები და შემამსუბუქებელი ზომები:

1. ტექნიკის მოძრაობა ნებადართულია მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით;
2. შეზღუდულია ტრანსპორტის მოძრაობის მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე;

3. შეზღუდულია ტექნიკის მოძრაობის სიხშირე;
4. სამშენებლო ადგილზე იკრძალება სახიფათო ნარჩენების უკონტროლო შენახვა;
5. სამშენებლო ადგილიდან ყოველდღიურად უნდა იქნეს გატანილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები;
6. ქვე-პროექტის ტერიტორიის მიმდებარედ არსებული ხე-მცენარეები უნდა იქნეს მონიშნული, შემოფარგლული, მათი ფესვთა სისტემა დაცული და თავიდან უნდა იქნეს აცილებული ამ მცენარეთა დაზიანება;
7. სამშენებლო სამუშაოების პროცესში განსაკუთრებით კი მიწის ექსკავაციისას, რაიმე არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა შეჩერდეს, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და სამუშაოები განახლდეს მხოლოდ შესაბამისი ნებართვის საფუძველზე.
8. თავიდან უნდა იქნეს აცილებული წყაროს კაპტაჟის სიახლოვეს არსებული სასმელი წყლის მილის დაზიანება და ზეგავლენა არსებულ საკალმახეზე.

ნარჩენების მართვა

სამშენებლო ნარჩენები მუდმივად უნდა იქნეს გატანილი ქვე-პროექტის განხორციელების ტერიტორიიდან და ტერიტორია უნდა იქნეს მოწესრიგებული. უნდა მოეწყოს სამშენებლო ნარჩენების დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც დაცული უნდა იყოს გადარეცხვისაგან.

სამშენებლო ნარჩენების განთავსება უნდა მოხდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე წერილობითი შეთანხმების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ და ზედამხედველ კომპანიასთან შეთანხმებულ ადგილზე.

საყოფაცხოვრებო ნარჩენები, როგორცაა საკვების ნარჩენები, პლასტმასისა და მინის ბოთლები და ა.შ. უნდა მოთავსდეს კონტეინერებში გატანილი იქნეს ყოველდღიურად.

იკრძალება ნარჩენების დაწვა.

წარმოდგენილი უნდა იქნეს შეთანხმებულ ადგილზე ნარჩენების განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტები.

ხმაური

ხმაურის შესამცირებლად შემდეგი ზომები იქნება გამოყენებული:

- ინერტული მასალების და სხვა სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებისას მარშრუტი უნდა იყოს შეთანხმებული შესაბამის რეგიონალურ სამსახურებთან, რაც ხელს შეუწყობს, რომ ადგილი არ ჰქონდეს გზების სატვირთო ავტომობილებით გადატვირთვას და ნებადართული სატრანსპორტო მოძრაობის ინტენსივობის დარღვევას.
- განისაზღვრება მანქანების მოძრაობის ნებადართული ინტენსივობა და სიჩქარე.

- გამოყენებულ იქნება ტექნიკის სათანადო კონტროლი და მოვლა-შენახვის პრაქტიკა, რათა ადგილი არ ექნეს დაზიანებული ნაწილების შედეგად ხმაურის დონის გაზრდას;
- სამუშაოები უნდა განხორციელდეს მხოლოდ დღის საათებში.

დაბინძურების პრევენცია

წყლების/ ნიადაგის დაბინძურების პრევენციისთვის სამშენებლო ადგილზე უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- არ უნდა იქნეს დაშვებული მანქანების მოძრაობა კალაპოტებში;
- მანქანა-დანადგარები უნდა შემოწმდეს რეგულარულად, რათა არ მოხდეს საწვავის ან საპოხი მასალის გაჟონვა. მანქანა-დანადგარების მუშაობისას მინიმუმამდე უნდა შემცირდეს საწვავის/ზეთების დაღვრის/გაჟონვის რისკები; მანქანების ტექნიკური მომსახურება, შეკეთება, რეცხვა, საცხის მოშორება შესაძლებელია ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, შესაბამისი საფარით და საწრეტით. მანქანების ტექნიკური მომსახურების ადგილები უნდა განთავსდეს მდინარის კალაპოტიდან 50 მეტრში;
- საპოხი მასალა, საწვავი და გამხსნელები უნდა ინახებოდეს და მათი გამოყენება მოხდეს მხოლოდ გამოყოფილ ადგილზე, შესაბამისი საფარით და საწრეტით; აღნიშნული მასალების შენახვა აკრძალულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ახლოს; მასალების შენახვის ადგილი უნდა იქნეს გადახურული;
- სამშენებლო მოედანზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრის შემთხვევაში შემკავებელი მასალები (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი);
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის სიახლოვეს აკრძალულია საწვავის, ზეთების, საცხების შენახვა და მანქანების ტექნიკური მომსახურება, შეკეთება, რეცხვა, საცხის მოშორება, საწვავით გამართვა;
- სამშენებლო მასალები უნდა ინახებოდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას და უნდა იყოს გადახურული, დაცული გადარეცხვისაგან წვიმის დროს.
- არ უნდა მოხდეს ცემენტის ან ბეტონის ნარჩენების ჩარეცხვა/ჩაყრა ნებისმიერ წყლის ობიექტში.

ახლად დამონტაჟებული მილსადენების და რეზერვუარების გარეცხვა და დეზინფექციის შემდგომ სადეზინფექციო ხსნარი, კონტრაქტორის მიერ, უნდა განეიტრალდეს გარემოში გაშვებამდე, რათა თავიდან იქნას აცილებული ხმელეთის ან წყლის ორგანიზმებზე ზემოქმედება. ქლორით დეზინფექციებისას ეს შესაძლებელია ნატრიუმის ჰიდროსულფატის გამოყენებით, რომლის დოზა ზუსტად უნდა იქნეს შერჩეული.

კონტრაქტორის მიერ ნეიტრალიზირებული წყლის გარემოში გაშვება შეთანხმდება ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან.

გრუნტის და ქვა ღორღის გატანა

ნარჩენი ქვები, გრუნტი ან ღორღი შესაძლოა გამოყენებული მეორადად. ხელმისაწვდომობა მასალებზე უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან

ადგილობრივ თემთან კონსულტაციით. გამოუყენებელი ნარჩენი ქვების, გრუნტის ან ღორღის საბოლოო განთავსება უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან წერილობით შეთანხმებულ ადგილზე.

მტვერი და გამონაბოლქვი

მანქანა-დანადგარები უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში, რომ არ მოხდეს მუშა-ხელისა და ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხება გამონაბოლქვით. უნდა განხორციელდეს მანქანა-დანადგარების რეგულარული ტექნიკური მომსახურება, გაუმართაობის გამო გამონაბოლქვის გაზრდის თავიდან ასაცილებლად.

მშრალ პირობებში, როცა შესაძლოა წარმოიშვას მტვერის დიდი რაოდენობა, გატარებული უნდა იქნეს შემდეგი ზომები:

- მასალებისა და ნარჩენების ჩამოტვირთვა წყლის გამაფრქვევლების გამოყენებით;
- სამშენებლო მასალების და ყრილების გადახურვა;
- ტრასპორტირება მხოლოდ დადგენილ მარშრუტით და სიჩქარის შემცირება; ტრანსპორტირება არ უნდა მოხდეს პიკის საათებში;
- მასალებისა და ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს დახურული ტრანსპორტით. სამშენებლო ტერიტორია უნდა მოირწყას;
- მუშები აღჭურვილი უნდა იქნენ მტვერისაგან პერსონალური დაცვის საშუალებებით;
- დემონტაჟის სამუშაოების დროს ტერიტორია უნდა დატენიანდეს ან დამონტაჟდეს მტვერის შემაკავებლები;
- გარემო (ტროტუარები, გზები) თავისუფალი უნდა იყოს წარმოქმნილი ნამსხვრევებისაგან;
- აკრძალულია სამშენებლო მასალების ან ნარჩენების დაწვა,
- აკრძალულია მანქანების და მძიმე ტექნიკის დაუტვირთავი მუშაობა.

გრუნტის (ქვე-ნიადაგის) დასაწყობება

გრუნტის ქვედა ფენის დასაწყობება უნდა მოხდეს არა უმეტეს 3 მ სიმაღლის გროვებად, რომელთა გვერდების დახრილობის კუთხე არ აღემატება 60°-ს. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი:

- დასაწყობების ადგილი იმგვარად უნდა იქნეს შერჩეული, რომ არ მოხდეს მისი დატკეპვანა ტექნიკის მოძრაობის შედეგად ან დაბინძურება სხვა მასალებით;
- გრუნტი გამოყოფილი უნდა იქნეს ნიადაგის ნაყოფიერი ფენისაგან.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, შენახვა და აღდგენა

სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და მისი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. დასაწყობებული ნიადაგის ხარისხი დაცული უნდა იქნას გაუარესებისაგან, გადარეცხვისაგან, გაბნევისაგან და სამუშაოების დასრულების შემდგომ გამოყენებული იქნეს მიზნობრივად.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა არ შეიძლება თუ გაყინულია მიწის ზედა ფენა, ასევე წვიმიან ამინდში, ან თუ ნიადაგი გაჯერებულია ან მისი მოხსნა გამოიწვევს სტრუქტურის დარღვევას.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობება უნდა მოხდეს არაუმეტეს 2 მეტრი სიმაღლის გროვებად, რომლის გვერდის დახრილობის კუთხე არ აღემატება 45⁰-ს. ნიადაგის დასაწყობების ადგილის შერჩევასა და გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი:

- დასაწყობების ადგილი ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ არ მოხდეს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ჩამოშლა, დატკეპვანა ტექნიკის მოძრაობის შედეგად, ასევე დაბინძურება სხვა მასალებით.
 - ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყოფილი უნდა იქნეს გრუნტისაგან (ნიადაგის ქვედა ფენისაგან);
 - დაუშვებელია ნიადაგის დასაწყობება მდინარიდან/წყლის ნაკადებიდან 25 მეტრზე ნაკლებ მანძილზე, ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიის თავისებურების გათვალისწინებით;
 - დაუშვებელია ნიადაგის დასაწყობება ადგილებში, რომლის დატბორვის რისკიც არსებობს.
 - საჭიროების შემთხვევაში კონტრაქტორმა უნდა განახორციელოს დასაწყობებული ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები, როგორცაა ეროზიის საწინააღმდეგო საფარის მოწყობა, ზედაპირის დატკეპნა და/ან დაგრუნტვა. დასაწყობებული ნიადაგი დაცული უნდა იქნეს წყლის ნაკადით ჩარეცხვისაგან ბერმების ან მისი ექვივალენტის მოწყობით გროვების ირგვლივ, საჭიროებისამებრ.
 - დასაწყობებული ნიადაგი გამოყენებული უნდა იქნეს ტერიტორიის რეკულტივაციისათვის სამუშაოების დასრულებისთანავე.

მიმდებარე ლანდშაფტის და მცენარეების დაცვა

კონტრაქტორმა სამუშაოების დაწყებამდე უნდა მონიშნოს წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის მილსადენების მარშრუტი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მონაწილეობით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ხეების მოჭრა.

სამშენებლო საქმიანობების განხორციელების ადგილებსა და მიმდებარედ არსებული ხე-მცენარეები უნდა იქნეს მონიშნული და შემოსაზღვრული ღობით, მათი ფესვთა სისტემა უნდა იქნეს დაცული დაზიანებისაგან.

სამშენებლო საქმიანობების მიმდებარედ არსებულ მცენარეებზე ზეგავლენა უნდა იქნეს შემცირებული შესაბამისი ღონისძიებების გატარებით, რომელიც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგ ღონისძიებებს:

- ხეების ირგვლივ ნიადაგის ძლიერ დატკეპვნის ასაცილებლად საფარის გამოყენება;
- ხეების შემოღობვა;
- სამშენებლო სამუშაოები უნდა გაკონტროლდეს ყველა ხის მახლობლად. ხეებთან არ უნდა განთავსდეს მძიმე მასალები ან ტექნიკა, ხოლო ტრანსპორტის მოძრაობა უნდა გაკონტროლდეს

- ნებისმიერი ხე, რომელიც დაზიანდება ან მოიჭრება ან გახმება მშენებლობის შედეგად, მგფ-თან შეთანხმებით უნდა იქნას ჩანაცვლებული სათანადო რაოდენობის ნერგებით;
- ტრანსპორტის მოძრაობა მკაცრად უნდა იქნეს შეზღუდული მისასვლელი გზების ფარგლებში, უნდა მოეწყოს სატრანსპორტო საშუალებებისათვის მოსახვევი ჯიბეები;
- ყველა მომუშავეს მკაცრად უნდა აეკრძალოს მცენარეული მასალების მოპოვება, ნარჩენების გადაყრა ან სხვა ნებისმიერი ქმედება, რომელიც ზიანს მიაყენებს მიმდებარე ლანდშაფტს.

შემარბილებელი ზომები სამშენებლო ადგილის უსაფრთხო ხელმისაწვდომობისთვის

ეროვნული ნორმების შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს სამშენებლო ადგილის სათანადოდ დაცვას და მშენებლობასთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობის დარეგულირებას. ეს მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგ ღონისძიებებს:

- გზის მაჩვენებლების, გამაფრთხილებელი ნიშნების, ბარიერების განთავსებას. სამშენებლო ტერიტორია იქნება მკაფიოდ შესამჩნევი, ხოლო პოტენციური რისკების შესახებ მოხდება საზოგადოების გაფრთხილება.
- ვიზიტორებისთვის უნდა მოეწყოს ალტერნატიული უსაფრთხო ტროტუარი;
- სამშენებლო ადგილები და ყველა თხრილი უნდა იქნეს შემოღობილი და სათანადოდ დაცული უნებართვო შესვლისაგან, განსაკუთრებით ბავშვებისთვის;
- უნდა მოეწყოს სათანადო განათება და განთავსდეს უსაფრთხოების ნიშნები.

მოხდება სამუშაო საათების ადგილობრივ სატრანსპორტო მოძრაობის სქემასთან მორგება, მასალებისა და ნარჩენების ტრანსპორტირება არ უნდა მოხდეს პიკის საათებში ან პირუტყვის გადაადგილების დროს.

ტერიტორიის მოწესრიგება სამუშაოების დასრულების შემდგომ

კონტრაქტორი ვალდებულია სამუშაოების დასრულების შემდგომ მოაწესრიგოს ქვე-პროექტის განხორციელებისა და მისი მიმდებარე ტერიტორია და მისასვლელელები. ნარჩენი მიწა, მასალები, დროებითი გზები, მექანიზმები, დროებითი ნაგებობები და შეღობვები უნდა იქნას მოხსნილი, ტრანშეები ამოვსებული და მიწის ზედაპირი მოსწორებული, ისე რომ მაქსიმალურად იქნას მიახლოებული თავდაპირველ მდგომარეობასთან.

5.2 ექსპლუატაციის ფაზა

ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების გაზრდილი რაოდენობის სათანადო მართვისთვის გატარებული უნდა იქნეს შემდეგი ღონისძიებები:

კონტეინერების განთავსება. განსათავსებელი კონტეინერების რაოდენობა და მოცულობა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: ტურისტების მოსალოდნელი რაოდენობა; ტერიტორიის ფართობი, მისასვლელი გზის არსებობა. გამოთვლებზე დაყრდნობით მოსალოდნელი 300 ტურისტისთვის უნდა განთავსდეს 1.1 მ³ მოცულობის მეტალის კონტეინერი. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული რომ მანძილი კონტეინერებს შორის

არ უნდა აჭარბებდეს 50 მეტრს. თუ ვერ მოხდება ზემოთ ნახსენები მოთხოვნების დაკმაყოფილება, გამოყენებული იქნება მცირე ზომის მოძრავი 0. 24 მ³ პლასტმასის კონტეინერები.

საჯარიმო სანქციები ადგილის დანაგვიანებისათვის. კონტეინერების განთავსება ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს, თუ არ დაწესდა საჯარიმო სანქციები ტერიტორიის დანაგვიანებისათვის. რაც უფრო ეფექტურად იმუშავებს დაჯარიმების მექანიზმი, მით უფრო მალე იქნება მიღწეული მიზანი.

სატრანსპორტო მოძრაობის რეგულირება

კულტურული მემკვიდრეობის მიმდებარედ გაიზრდება სატრანსპორტო მოძრაობა, რაც გამოხატული იქნება ადგილობრივი გამონაბოლქვის და ხმაურის გაზრდაში, ასევე სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებში. გატარებული უნდა იქნეს შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები

- პარკინგი განთავსდება მონასტრის შესასვლელიდან 60 მეტრში, მისასვლელი გზის გასწვრივ.
- პარკინგის ფართობი იმგვარად უნდა განთავსდეს რომ მანქანებმა და ავტობუსებმა შეუფერხებლად შეძლონ გაჩერება მანევრირება.
- სათანადო მართვის მომსახურეობა შეამცირებს საცობებით გამოწვეულ ნეგატიურ ზეგავლენას.

წყალმომარაგების სისტემის უსაფრთხო ფუნქციონირება

წყალმომარაგების სადუზინფექციო სისტემის უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის განხორციელებული უნდა იქნეს შემდეგი ღონისძიებები:

- მომზადებული უნდა იქნეს მომსახურე პერსონალის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის გეგმა, რომელიც მოიცავს ქლორით დუზინფექციის სისტემისათვის ტრანსპორტირების, შენახვის, გამოყენების, განთავსების, პირველადი დახმარების საშუალებებსა და პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებს.
- ქლორით დუზინფექციის სისტემის ოპერირების და მოვლა-პატრონობის ტრენინგის ჩატარება (წყალმომარაგების სისტემის ფუნქციონირების დაწყებამდე და 4-ჯერ წელიწადში საგარანტიო პერიოდის განმავლობაში) კონტრაქტორის მიერ, საოპერაციო სახელმძღვანელოსა და ტრენინგის პროგრამის მომზადების ჩათვლით.

მონასტრის ტერიტორიაზე დაუშვებელია ხმაური. შეიზღუდება ფოტო გადაღება მონასტერში განსაკუთრებით კი კედლის მოხატულობების. ტანსაცმელთან დაკავშირებული შეზღუდვები დაწესებულია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოსა და მონასტრის მიერ. ქალებს არ უნდა ეცვათ მოკლე შარვლები ან ღია მისურები. აუცილებელია ქვედაბოლოები და თავსაბურავები, რომლებიც უფასოდ იქნება ხელმისაწვდომი მონასტრის შესასვლელში. მამაკაცებს არ უნდა ეხუროთ ქუდები და არ უნდა ეცვათ მოკლე შარვლები.

მონასტრში ბერებისათვის ფოტო გადაღება მათი ნებართვის გარეშე დაუშვებელია. შესაძლოა დაშვებული იქნეს გამონაკლისი მონასტრის წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

6. მონიტორინგი

მგფ პასუხისმგებელია გარემოზე ზემოქმედების შერბილების ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგზე. სამუშაოების ზედამხედველობისთვის დაქირავებული კონსულტანტი მეთვალყურეობას გაუწევს მიმდინარე სამუშაოების შესაბამისობას გარემოსდაცვით მოთხოვნებთან. ყოველთვიურად შეივსება საველე მონიტორინგის საკონტროლო კითხვარი და თან დაერთვება ფოტომასალა. გარემოზე ზემოქმედების გეგმის განხორციელების ანგარიში ჩართული იქნება მგფ-ის ყოველკვარტალურ ანგარიშში.

მგფ-მა კონტრაქტორისგან უნდა მიიღოს ის ნებართვები, ლიცენზიები და წერილობითი შეთანხმებების ასლები, რაც კონტრაქტორს საქართველოს კანონმდებლობით მოეთხოვება მასალის გამოყენებისთვის, ასფალტის/ბეტონის ქარხნის ფუნქციონირებისა და სხვადასხვა ტიპის ნარჩენების განთავსებისათვის.

7. განხორციელების ღირებულება

აღნიშნული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების ღირებულება მცირეა და რთულია გამოიყოს სამშენებლო ოპერირების ფასიდან. თუმცა რეკომენდირებულია რომ ტენდერში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ხარჯთაღრიცხვაში შედიოდეს ხარჯები ნარჩენების განთავსებისათვის. სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეული უნდა იყოს გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხორციელებისათვის, ინტეგრირებული უნდა იქნეს სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოების ფასებში.

საჩივრების განხილვის მექანიზმი

საჭიროებისამებრ, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთა საჩივრების განხილვის მიზნით, შეიქმნა სათანადო მექანიზმი. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მხრიდან ამ საჩივრების მიღებაზე, განხილვასა და რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირი იქნება ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი ზაზა ზოსიაშვილი (მობ. 599273250, ელ.ფოსტა: tyibuli.infrastr@gmail.com), ხოლო მგფ-ს მხრიდან - პირი ნუცა გუმბერიძე (ტელ: +995 598 88 20 19, feedback@mdf.org.ge).

თუ საჩივრით დასმული საკითხი არ გადაიჭრება ადგილობრივ დონეზე, ის შემდგომი რეაგირების მიზნით გადაიგზავნება მგფ-ში. მგფ არეგისტრირებს ყველა შემოსულ საჩივარს, შესაბამის კომენტარებს და გადაჭრის გზებს. საჯარო კონსულტაციების დროს ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული იქნება საჩივრების განხილვის საკითხებზე და საკონტაქტო პირების შესახებ.

მონიტორინგის მართვის გეგმა

| საკმიანობა | რა პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს? | სად არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს? | როგორ უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი? | როდის განსაზღვრეთ სიხშირე ან ხანგრძლივობა | რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი? | ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე? |
|--|--|--|--|--|---|---|
| სამშენებლო ფაზა | | | | | | |
| სამშენებლო მასალების მიწოდება | სამშენებლო მასალების შექმნა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან | მომწოდებლის ოფისში ან საწყობში | დოკუმენტების შემოწმება | მომწოდებლის კონტრაქტების გაფორმებისას | ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, | მგფ, მშენებლობის ზედამხედველი |
| სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება | სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა სატვირთო ავტომობილების შემოსაზღვრა და დაცვა სპეციალური საფარით ტრანსპორტირების განსაზღვრული საათებისა და მარშრუტების დაცვა | სამშენებლო ტერიტორია | შემოწმება | გაუფრთხილებელი შემოწმებები, როგორც სამუშაო, ისე არა სამუშაო საათებში | მიწისა და ჰაერის ემისიებისაგან დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი საზოგადოებების შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე დაქვანა. | მგფ, მშენებლობის ზედამხედველი |
| მიწის სამუშაოები | ამოღებული გრუნტის დროებითი შენახვა წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ტერიტორიებზე; | სამშენებლო ტერიტორია | შემოწმება მუდმივი ზედამხედველობა არქეოლოგის მიერ | მიწის სამუშაოების პროცესში | სამშენებლო და და მისი მდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნაგვით დაბინძურების თავიდან აცილება | მგფ, მშენებლობის ზედამხედველი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო |

| საქმიანობა | რა პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს? | სად არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს? | როგორ უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი? | როდის განსაზღვრეთ სიხშირე ან ხანგრძლივობა | რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი? | ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე? |
|--------------------------|--|--|--|---|---|---------------------------------------|
| | ამოღებული გრუნტის უკუჩაყრა და/ან განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე; მიწის სამუშაოებისათვის მძიმე ტექნიკის გამოყენების აკრძალვა | | | | ფიზიკური კულტურული რესურსების დაზიანების და დაკარგვის თავიდან აცილება | |
| ინერტული მასალების წყარო | მასალების შექმნა არსებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება მშენებელი კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა; კარიერის ტერასებზე დაყოფა, კარიერის დამუშავებული ადგილების უკუჩაყრა და ლანდშაფტთან პარმონიზაცია; მდინარის კალაპოტიდან ხრეშისა და ქვიშის ამოღება ნაკადის გარეთ, ხრეშის დამცავი ბარიერების | კარიერის ზონები | დოკუმენტების შემოწმება სამუშაოების შემოწმება | მასალების მოპოვების პროცესში | ქანობების ეროზიის და ეკოსისტემების და ლანდშაფტების დეგრადაციის შემცირება; მდინარის ნაპირების ეროზიის, წყლის შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურების და წლის მობინადრეების საარსებო პირობების დარღვევის შემცირება. | მგფ, მშენებლობის ზედამხედველი |

| საკმიანობა | რა პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს? | სად არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს? | როგორ უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი? | როდის განსაზღვრეთ სიხშირე ან ხანგრძლივობა | რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი? | ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე? |
|--|--|--|--|---|---|--|
| | მოწყობა მოპოვების ტერიტორიასა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მექანიზმების შესვლა წყლის ნაკადში. | | | | | |
| სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა | სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროულად გადაყრა ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში | სამშენებლო ტერიტორია; ნაგავსაყრელი ტერიტორია | შემოწმება | პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში | სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისგან დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით | მგფ, მშენებლობის ზედამხედველი |
| ლანდშაფტისა და მცენარეულობი ს დაცვა | ხეების მონიშვნა და შეღობვა სამშენებლო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ; ხე-მცენარეების ფესვების დაცვა | წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის მარშრუტისა და გზის გასწვრივ ტურისტული ინფრასტრუქტურის სამშენებლო ტერიტორია | შემოწმება | პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში | მიმდებარე ლანდშაფტისა და მცენარეული საფარის დაცვა | მგფ, მშენებლობის ზედამხედველი |
| ახლად ჩადებული მილსადენის | სადენზიფიკაციო ხსნარის განეიტრალება გარემოში გაშვებამდე | მილსადენის ბოლო წერტილები | შემოწმება | მილსადენის რეცხვის დროს დაინსტალირების დამთავრებისას | კონცენტრირებული სადენზიფიკაციო ხსნარით გამოწვეული | მგფ მშენებლობის ზედამხედველი |


| საქმიანობა | რა პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს? | სად არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს? | როგორ უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი? | როდის განსაზღვრეთ სიხშირე ან ხანგრძლივობა | რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი? | ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე? |
|--|--|--|--|---|--|---------------------------------------|
| რეცხვა დეზინფექცია | | | | | გარემო ზიანის პრევენცია. | |
| ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა | სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/შემოვლის ნიშნების დადგმა; სამშენებლო მასალების შენახვა და სამშენებლო ნაგვის დროებითი განთავსება ისე რომ თავიდან იქნას აცილებული საცობები მისასვლელ გზებზე | სამშენებლო ტერიტორიაზე და მის გარშემო | შემოწმება | სამშენებლო სამუშაოების პროცესში | მოძრაობის დროს უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით; ადგილობრივი მაცხოვრებლების დისკომფორტის შემცირების მიზნით | მშენებლობის ზედამხედველი |
| ტერიტორიის მოწესრიგება სამუშაოების დასრულების შემდგომ | სამშენებლო და მისი მიმდებარე ტერიტორია მოწესრიგებულია. ნარჩენი მიწა, მასალები, დროებითი გზები, მექანიზმები, დროებითი ნაგებობები და შეღობვები მოხსნილია, ტრანშეები ამოვსებულია და მიწის ზედაპირი მოსწორებულია | სამშენებლო ტერიტორიაზე და მის გარშემო | შემოწმება | სამუშაოების დასრულების შემდგომ | ლანდშაფტის დაცვა | მგვ მშენებლობის ზედამხედველი |

| საქმიანობა | რა პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს? | სად არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს? | როგორ უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი? | როდის განსაზღვრეთ სიხშირე ან ხანგრძლივობა | რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი? | ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე? |
|---|--|--|--|---|--|---------------------------------------|
| მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება | მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესების/ინსტრუქციების მკაცრი დაცვის შესახებ | სამშენებლო ტერიტორია | შემოწმება | გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას | სამუშაო ადგილზე უბედური და გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან აცილება მიზნით | მგფ, მშენებლობის ზედამხედველი |
| ოპერირების ფაზა | | | | | | |
| მყარი ნარჩენების მართვა ვიზიტორთა ცენტრიდან | ნარჩენების დროული გატანა | რეაბილიტირებული მოწყობილობები | შემოწმება | ოპერირებისას | ადგილის და მიმდებარე ტერიტორიის ნაგვისგან განთავისუფლება | ტყიბულას მუნიციპალიტეტი |

| საქმიანობა | რა პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს? | სად არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს? | როგორ უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი? | როდის განსაზღვრეთ სიხშირე ან ხანგრძლივობა | რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი? | ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე? |
|---|--|--|--|---|--|---------------------------------------|
| წყალმომარაგების და კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მომსახურება | წყალმომარაგების სისტემა არ ჟონავს და მოდის შეუფერხებლად. კანალიზაციის გამწმენდი მუშაობს კარგად. | სარეაბილიტაციო საშუალებები | შემოწმება | ოპერირებისას | წყლის დანაკარგის პრევენცია გადაუმუშავებელი წყლით ზედაპირის და მიწის დაბინძურების პრევენცია | ტყიბულას მუნიციპალიტეტი |
| წყალმომარაგების სისტემის დეზინფექციის უსაფრთხოება | მომზადა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების გეგმა, ტრანსპორტირების, შენახვის, გამოყენების, გადაყრის, სასწრაფო პირველადი დახმარების საშუალებების პროცედურების და დეზინფექციის შესახებ; ოპერირება მოვლა შენახვის ტრენინგი | სასმელი წყალი გამწმენდი მოწყობილობა | შემოწმება | წყალმომარაგების სისტემის ამუშავებისას | ქლორის გაუთვალისწინებელი და სამუშაო გაშვების შედეგად გარემო ზიანის პრევენცია | ტყიბულას მუნიციპალიტეტი |
| სამონასტრო კომპლექსის და ვიზიტორთა ცენტრის მოვლა შენახვა | ნებადაურთველი მშენებლობა და მიწის არაოფიციალური სარგებლობა ისტორიული ადგილის მახლობლად. | სარეაბილიტაციო მოწყობილობა | შემოწმება | მოწყობილობის ოპერირებისას | ძველის და გარშემო ფართობის ისტორიული და ესთეტიკური ღირებულების დაკარგვის პრევენცია | ტყიბულას მუნიციპალიტეტი |

დანართი 1 - ფოტომასალა, საკადასტრო ინფორმაცია

ახალი პარკინგის მოწყობა





დანართი 2 - საჯარო განხილვის მასალები

დანართი 3 – ნებართვები, ლიცენზიები, შეთანხმებები

საქართველოს საპატრიარქოს ტყიბულისა და საჩხერის ეპარქიის წერილი ნარჩენების დროებით განთავსებასთან დაკავშირებით

ტყიბულის მუნიციპალიტეტის წერილი და დამოწმებული ხეების ინვენტარიზაციის უწყისი



ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია
TKIBULI MUNICIPALITY CITY HALL



კარლო ლომაძის N3 Karlo Lomadze N3 0(497) 22-20-20, 0(497) 22-25-25 E-mail: municipa@tkibuli.g

N 47/7793
12/12/2017

7793-47-2-201712121624



ა.ა.(ი).პ. „საქართველოს მემკვიდრეობა“-ის გამგეობის

თავმჯდომარეს ბატონ კახა ტრაპაიძეს

ბატონო კახა,

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული თქვენი წერილის პასუხად, რომელიც შეეხება მოწამეთის კომპლექსის მიმდებარედ ახალი საპარკინგე ზონის მოწყობის მიზნით მცირე მოცულობის ხეების მოჭრის აუცილებლობას გაგნობებთ, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია არ არის წინააღმდეგი მოიჭრას ხე-მცენარეები, რომლებიც ხელს უშლიან პროექტის განხორციელებას თანდართული ჭრის უწყისის შესაბამისად.

რაც შეეხება მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლების ვადის ამოწურვის საკითხს, მუნიციპალური განვითარების ფონდმა უნდა მოამართოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიას ვადის გაგრძელების თაობაზე საკითხის დამატებითი განხილვის მიზნით.

აქვე გაგნობებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში იკონტაქტეთ მერიის წარმომადგენელთან კურსების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. (ე. ზერგვაშვილი, ტელ. 599090208)

თემურ ჩუბინიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია

„ვ.ა.ს.ტ.ს.ე.ს.“
დაკრძალვის მუნიციპალიტეტის
მერი

ახალი პარკინგის ტერიტორიაზე არსებული ხეების აღწერის უწყისი

| N | სახეობა | სიმაღლე სმ | დიამეტრი სმ | მოცულობა მ ³ | შენიშვნა |
|-------|-----------------------------------|------------|-------------|-------------------------|----------|
| 1 | წიფელი / Fagus orientalis | 550 | 9.5 | 0.09 | |
| 2 | შავი კუნძლი / Crataegus pentagyna | 400 | 5.2 | 0.03 | |
| 3 | შავი კუნძლი / Crataegus pentagyna | 350 | 4.6 | 0.03 | |
| 4 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 500 | 10.5 | 0.09 | |
| 5 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 370 | 5.9 | 0.04 | |
| 6 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 380 | 5.9 | 0.04 | |
| 7 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 340 | 5 | 0.03 | |
| 8 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 310 | 4.5 | 0.02 | |
| 9 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 300 | 4.3 | 0.02 | |
| 10 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 340 | 5.1 | 0.03 | |
| 11 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 390 | 5.8 | 0.04 | |
| 12 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 310 | 4.4 | 0.02 | |
| 13 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 330 | 4.8 | 0.03 | |
| 14 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 320 | 4.6 | 0.02 | |
| 15 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 350 | 5.3 | 0.03 | |
| 16 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 300 | 4.2 | 0.02 | |
| 17 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 300 | 4.3 | 0.02 | |
| 18 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 310 | 4.5 | 0.02 | |
| 19 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 300 | 4.1 | 0.02 | |
| 20 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 320 | 4.7 | 0.03 | |
| 21 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 370 | 5.8 | 0.04 | |
| 22 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 350 | 5.3 | 0.03 | |
| 23 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 360 | 3.7 | 0.02 | |
| 24 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 320 | 4.6 | 0.02 | |
| 25 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 300 | 4.1 | 0.02 | |
| 26 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 320 | 4.4 | 0.02 | |
| 27 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 390 | 6 | 0.04 | |
| 28 | ჯაგრებოლა / Carpinus orientalis | 400 | 6.8 | 0.05 | |
| კახა: | | | | | 0.91 |

